გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა
მაგისტრატურა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
20 ოქტომბერი - 27 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

24 ნოემბერი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი, Master of Public Health |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული Health, not elsewhere classified |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | 0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული Health, not elsewhere classified |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტირებული #48, 21.02.2019. |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე ფხაკაძე<br>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ჯილდა ჭეიშვილი<br>თბილისის ღია უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა 2011 წელს კავკასიის 2011 წლის 16 მაისის #01/05-105 ბრძანებით, პროგრამა განახლდა 2018 წელს, #01/01-16, 17 სექტემბრის ბრძანებით; შემდგომში განახლებულ იქნა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2021 წლის 10 სექტემბრის N01/01-60 ბრძანებით.

სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (#48, 21.02.2019) 7 წლის ვადით.
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 56/64 ECTS კრედიტს, სტანდარტული ვადა განსაზღვრულია 2 აკადემიურ წლით, პროგრამა მოიცავს სასწავლო, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტს, სასწავლო კომპონენტში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 ECTS კრედიტი; ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 ECTS კრედიტის მოცულობით; პრაქტიკულ კომპონენტს (პროფესიული პრაქტიკა) მოიცავს - 6 ECTS კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 ECTS კრედიტს.
სასწავლო კურსებში წარმოდგენილია ეპიდემიოლოგიის, ჯანდაცვის პოლიტიკისა და ეკონომიკის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, გამოყენებითი სტატისტიკის და მონაცემთა ანალიზის და სხვა სავალდებულო კურსები კვლევებისთვის აუცილებელი ცოდნისა თუ უნარების განვითარების მიზნით.
პროგრამის დასახული მიზნების მიღწევადობას უზრუნველყოფს შესაბამისი აკადემიური, კვლევითი და მატერიალური რესურსი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 7 21 0001115795, 20/10/2021 ) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს (ირინე ფხაკაძე- (თავმჯდომარე), ჯილდა ჭეიშვილი (წევრი), დაევალა შპს კავკასიის უნივერსიტეტის

,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. პროგრამის შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა 3 სტანდატრის დაკმაყოფილების თვალსაზრისით შემაჯამებელი შეფასებით:

**სტანდარტი 1**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **სრულად შესაბამისი**

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 . მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 2**

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისი**

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 4**

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **სრული შესაბამისობა**

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2.

გათვალისწინებულ იქნას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონის - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, შესაბამისად სწავლის შედეგები აღიწეროს *შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,*

2.3.

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში წინაპირობის განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება
- სამი კომპეტენციის მიხედვით და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წყაროებით.

2.6.
- უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის შედეგების შეფასება სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებით;
- დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები (ქულობრივი რანჟირება), ყურადღება გამახვილდეს უნარების შეფასებაზე;
- განისაზღვროს გუნდური მუშაობის დროს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე**

დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის გაცნობის შემდეგ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციების გადახედვა და მტკიცებულებების წარმოდგენა:

**რეკომენდაცია 1.2**. გათვალისწინებულ იქნას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონის - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, შესაბამისად სწავლის შედეგები აღიწეროს *შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,*
**არგუმენტირებული პასუხი:**
საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოდიფიცირებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად გამსხვილდა, შემცირდა რაოდენობრივად და გაიწერა აქტიური ზმნების გამოყენებით. ამასთან, სწავლის შედეგები შინაარსობრივად შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონესთან და აღწერილია სწორედ „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ ან/და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ მიხედვით, თუმცა შედეგები არ არის დაჯგუფებული აღმწერების სათაურების მითითებით, რაც არც მოითხოვება.
**მტკიცებულება:** ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის რიგ კურსებში (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, კვლევის პრაქტიკუმი ჯანდაცვაში) სწავლის შედეგებში არ იკვეთება სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის ნაწილი და აღწერილია ძირითადად უნარები, შესაბამისად, რეკომენდაცია სწავლის შედეგების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად ფორმულირების შესახებ ძალაში დარჩა.

**რეკომენდაცია** 2.3.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში წინაპირობის განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება სამი კომპეტენციის მიხედვით და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წყაროებით.

**არგუმენტირებული პასუხი:**
სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ლოგიკური თანამიმდევრობით, კომპონენტები უზრუნველყოფენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, სავალდებულო სასწავლო კურსები, თავისი შინაარსიდან გამომდინარე არ ითხოვენ რაიმე კონკრეტულ წინაპირობას, მაგალითად, „ჯანდაცვის პოლიტიკა“, „ჯანდაცვის კანონმდებლობა და ბიოეთიკა“ და სხვ. თუმცა, „პროფესიული პრაქტიკასთან“

მიმართებით, რომელიც ისწავლება მე-3 სემესტრში, შესაძლებელია პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა იფიქროს წინაპირობის განსაზღვრაზე და ამას მივიღებდით როგორც რჩევას.

**მტკიცებულება**:

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის რიგ კურსებში სასწავლო კურსით განსაზღვრულ შედეგებზე გასვლის მიზნით საჭიროა მათთვის წინაპირობის განსაზღვრა („ეპიდემიოლოგია" (2 სემესტრი) - წინაპირობად მოითხოვს I სემესტრის კურსებს: „ჯანდაცვის პოლიტიკა", „გამოყენებითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი" „კვლევის პრაქტიკუმი ჯანდაცვაში" (2 სემესტრი) წინაპირობად მოითხოვს I სემესტრის კურსს: „გამოყენებითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი").

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიცია არ იქნა გაზიარებული. რაც შეეხება ლიტერატურის განახლებას, დაწესებულება მზადაა ამ მხრივ პროგრამა კიდევ ერთხელ გადაიხედოს.

**რეკომენდაცია** 2.6.

- უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსის შედეგების შეფასება სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმებით;
- დაზუსტდეს სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები (ქულობრივი რანჟირება), ყურადღება გამახვილდეს უნარების შეფასებაზე
- განისაზღვროს გუნდური მუშაობის დროს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები.

**არგუმენტირებული პასუხი:**

პასუხი: ვერ გავიზიარებთ ექსპერტთა პოზიციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითისათვის მოვიყვანთ „პროფესიული პრაქტიკის" შეფასების კომპონენტებს, რომელიც მოიაზრებს „ხელმძღვანელის შეფასებას", „მიმღები ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის შეფასებას", „ყოველკვირეული პრაქტიკული დავალებების ანგარიშის წარდგენას" და „პრეზენტაცია/საბოლოო პრაქტიკის ანგარიშის წარდგენას". სილაბუსში მოყვანილია შეფასების ზოგადი აღწერილობა, თუმცა შემუშავებულია სპეციალური ფორმები თითოეული კომპონენტის შეფასებისათვის, რაც სავარაუდოდ სილაბუსის დანართების სახით სჯობდა წარმოდგენილიყო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის.

**მტკიცებულება**:

პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული შეფასების კრიტერიუმები არ გვაძლევს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შესაძლებობას.

**რჩევა 1.2.**

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია
პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შემუშავებასთან დაკავშირებით (სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია ცალკე დოკუმენტში: „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი").

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის მისიას, აღნიშნული სკოლის მისიაა საქართველოში ჯანდაცვის სისტემების მართვის თანამედროვე მიდგომების და ღირებულებების დანერგვა. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის ამოცანაა: ჯანმრთელობის მართვის დარგში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მენეჯერების და ლიდერების მომზადება; ჯანდაცვის სისტემების მართვის ახალი ტექნოლოგიების სწავლება.<br>პროგრამა მიმართულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეცალისტების მომზადებისკენ, რაც ასახულია პროგრამის დასახელებაში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა“.<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიღრმისეულ, თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს, განუვითარდეთ ამ სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის უნარი, კერძოდ:<br>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების მიდგომების და ღირებულებების დანერგვა;<br>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს საჭიროებების შესწავლა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;<br>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორში კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და შედეგების გამოყენება.<br><u>ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არ შეცვლილა.</u><br>კურსდამთავრებულები სისტემაში ჩართვის შემდეგ გააუმჯობესონ როგორც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, ისე მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეფექტური პროგრამების დაგეგმვისა და განხოციელების გზით, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური |

მომსახურების მიმწოდებელი ინსტიტუტების შესაბამისი ორგანიზაციითა და მართვით. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაწესებულების ვებგვერდი https://www.cu.edu.ge/schoolss/chs

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგი კავშირშია დაწესებულების მისიასთან და გამომდინარეობს პროგრამის

მიზნებიდან.

პროგრამის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობით, რაც ასახულია პროგრამის შედეგების რუკაში. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი ავითარებს შესაბამის სწავლის შედეგს.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შეიცვალა, კერძოდ სწავლის შედეგები გამსხვილდა და ჩამოყალიბდა 5 შედეგად, რომლებიც შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერთან, თუმცა ***პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამ კომპეტენციაში (ცოდნა-გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) ფორმულირების გარეშე შემდეგნაირად:***

- აღწერს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიის, გადამდები და არაგადამდები დაავადებების, ბიოსტატისტიკის, ჯანდაცვის სისტემების და პოლიტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, ჯანდაცვის სამართალის და ბიოეთიკის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, შრომის ჯანმრთელობის ფუნდამენტურ კონცეფციებსა და თეორიებს.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისათვის და მათ გადასაჭრელად პრაქტიკაში იყენებს შესაბამის კონცეფციებს და თეორიებს.
- აანალიზებს საზოგადოებრივი ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, პროცესებს და პრობლემატიკას ადეკვატური კვლევის და მონაცემთა შეგროვების მეთოდებით, ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა.
- ახდენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის დემონსტრირებას, მათ შორის უცხოურ ენაზე.
- იყენებს და ავითარებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მიღებულ და აღიარებულ ფასეულობებს და ღირებულებებს, მონაწილეობს მათი განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
- ვინაიდან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონე - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“, „უნარით“ და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს – აღმწერებს, შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რეკომენდირებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების წარმოდგენა შესაბამისი სახით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰყავს თითოეული შედეგის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები 2021-2022 ს.წ. შედეგზე დაკვირვების განხორციელების მიზნით, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია დოკუმენტით: „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის შედეგების მიღწევის მონიტორინგს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

| |
|---|
| შედეგების ჩათვლით |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ გათვალისწინებულ იქნას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუხლი 1. თანახმად, კვალიფიკაციის დონის - კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, შესაბამისად სწავლის შედეგები აღიწეროს *შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა,* |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.<br>სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებით და გაივლის შიდა გასაუბრებას, ასევე პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს დიპლომის დანართით ან წარმოდგენილი ენის სერტიფიკატით (IELTS – 6.5 ქულა, TOEFL – 90 ქულა), ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით.<br>საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.<br><br>პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ვებგვერდი https://cu.edu.ge/ka/schoolss/chs/programs-chs/graduate-chs/mph-chs |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს,<br>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი, კვლევითი პრაქტიკა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. სამაგისტრო პროგრამის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს.<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს: სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.<br>• ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 54 ECTS (ძირითადი) + 30 ECTS კრედიტი (არჩევითი)<br>• პრაქტიკულ კომპონენტი (პროფესიული პრაქტიკა) - 6 ECTS კრედიტი.<br>• კვლევით კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 ECTS კრედიტი.<br>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების მეორე საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონეს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.<br>სამაგისტრო პროგრამის პირველ სემეტრში აქცენტი კეთდება ეპიდემიოლოგიაზე, ჯანდაცვის ელემენტებზე, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ჯანდაცვის ეკონომიკა და პოლიტიკა, დედათა და ბავშთა ჯანმრთელობა რომელიც იშლება მეორე სემსტრში- გლობალური ჯანდაცვა, შრომის ჯანდაცვა და აშ სახით.<br>პროფესიული პრაქტიკა წარმოდგენილია სწავლების მესამე სემსტრში, ხოლო<br>მე-4 სემესტრი მთლიანად დათმობილი აქვს მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო ნაშრომის შესრულებას, რომლის წარმატებით დაცვის (და სასწავლო კომპონენტის დასრულების) შემდეგ მას ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი. |

| |
|---|
| პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.<br>პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა<br>○ თვითშეფასების ანგარიში |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>პროგრამაში სასწავლო კურსები გამრავალფეროვნდა, დამატებულ იქნა კურსი "გლობალური ჯანდაცვა", აგრეთვე "კვლევითი პრაქტიკუმი ჯანდაცვაში", "ჯანმრთელობის სოციოლოგია" |
| **შეფასება**<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ხოლო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმა მკაფიო და ზუსტია.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა და სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის განხილვის პროცესში სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები დაკორექტირდა მოთხოვნისდა მიხედვით და მასში აისახა სამი კომპეტენცია, რომელიც ერთიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, სილაბუსების გარკვეული კორექტირების მიუხედავად, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა გადანაწილებული, რომ ყველა კურსი (გარდა კვლევითი კომპონენტისა) წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი, რაც ქმნის სასწავლო კურსების თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის ეჭვს (<u>„ეპიდემიოლოგია" (2 სემესტრი) - წინაპირობად მოითხოვს I სემესტრის კურსებს: „ჯანდაცვის პოლიტიკა", „გამოყენებითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი" „კვლევის პრაქტიკუმი ჯანდაცვაში" (2 სემესტრი) წინაპირობად მოითხოვს I სემესტრის კურსს: „გამოყენებითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი").</u>
- პროფესიული პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება პროგრამაზე სწავლების მე-3 სემესტრში, მოკლებულია წინაპირობას;
- რიგ სასწავლო კურსებში სწავლის შედეგები არ არის გაწერილი 3 კომპეტენციის მიხედვით, სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, კვლევის პრაქტიკუმი ჯანდაცვაში) სწავლის შედეგებში არ იკვეთება სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის ნაწილი და აღწერილია ძირითადად უნარები);
- რიგ სასწავლო კურსებში გამოყენებულია მოძველებული ლიტერატურა (მაგ: ეპიდემიოლოგია**PH 5182**- The Centers for Disease Control and Prevention, Principles of Epidemiology in Public Health Practice Third Edition, Atlanta, GA,2005, FletcherR.H,FletcherS.W,WagnerEH;ClinicalEpidemiology: theEssentials, Williams & Wilkins,1996, ეპიდემიოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში გამოყენებულ ტერმინების ინგლისურ ქართული ლექსიკონი-**http://ncdc.ge/GEO/News/Glossary.pdf**), ფსიქიკური ჯანმრთელობა **PH 5382- 2003 წელს გამოქვეყნებული ლიტერატურა) და ა.შ.**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში წინაპირობის განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ფორმულირება 3 კომპეტენციის მიხედვით და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;
- რეკომენდირებულია ლიტერატურის განახლება უახლესი წყაროებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას შესაბამისი მიმართულებით, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში.

სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა წარმოებს მაგისტრანტის მიერ ყველა სავალდებულო

სასწავლო კომპონენტის გავლის შემდეგ.

კვლევით კომპონენტში შესაძლოა ჩართული იყოს პროგრამაში ჩართული შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, ასევე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სასწავლო პროგრამა
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

